ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4464187

ნომერი: AR1672512

თარიღი : 02.04.2019

გაცემის თარიღი : 18.04.2019

გაცნობის თარიღი : 19.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 61;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ხუროძე პ/ნ 01017010344
- კოსტავას ქ. 60

ორგანიზაცია:
- შპს "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა" კოდი: 404541670

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: პაატა ჭავჭანიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „ბიზნეს ცენტრი მოზაიკა“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404541670

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ბეგიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024023623

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3642511
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.10.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 ოქტომბერს №3642511 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), დავით აღმაშენებლის გამზ. N61–ში, შ.პ.ს. "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 28 ოქტომბრიდან 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით;

2018 წლის 24 სექტემებრს N AR1632810 განცხადების საფუძველზე სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4205360 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის დასრულების თრიღი განისაზღვრა 2019 წლის 28 აგვისტო.

2019 წლის 02 აპრილს N AR1672512 განცხადებით სამსახურს მომართა შ.პ.ს. „ბიზნეს ცენტრი მოზაიკა“-ს დირექტორის მ. ბეგიაშვილის მინდობილმა პირმა ქ. ხურიძემ (2019 წლის 8 აპრილის მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 28 ოქტომბრიდან 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით;" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2020 წლის 28 ივლისის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ოქტომბრის №3642511 და 2018 წლის 12 ოქტომბრის №4205360 ბრძანებებთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.